ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6828009

ნომერი: AR11008241

თარიღი : 26.12.2023

გაცემის თარიღი : 29.12.2023

გაცნობის თარიღი : 29.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაიონი სამგორი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ მექვაბიშვილი პ/ნ 61001025751
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 215 ბ. 43

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 26 დეკემბერს №AR11008241 განცხადებით მომართა ზურაბ მექვაბიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023

წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის №6816535 ბრძანებით №01.19.36.014.671 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 21 დეკემბრიდან 2025 წლის 21 ივნისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ ბრძანებაში მესაკუთრე, მიწის ნაკვეთის მისამართი, საკადასტრო კოდი და საპროექტო ობიექტი არასწორად არის მითითებული.
შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას. განმცხადებელი, ასევე, ითხოვს (მოთხოვნა დაზუსტებულ იქნა შეტყობინების ველის მეშვეობით) ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 135.05 კვ.მ.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2023 წლის 10 ნოემბერს №AR11000028 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე №01.19.36.014.671 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურმა, იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ტექნიკური შეცდომის შედეგად მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მისამართი, საკადასტრო კოდი და საპროექტო ობიექტი არასწორად დაფიქსირდა.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: 892023370440; მომზადების თარიღი: 08/12/2023 წ.), საპროექტო ობიექტის მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, სამგორის რაიონი. საკადასტრო კოდს: -№01.19.36.014.671, ხოლო, მესაკუთრეს შპს "სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი" (ს/კ: №405062836).
სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანებით შეთანხმებულ I სართულის გეგმაზე მდებარეობს 09 ღია ავტოსადგომი და მათი საერთო ფართობი შეადგენს 135.05 კვ.მ-ს. ამასთან, დგინდება, რომ წარმოდგენილ I სართულის გეგმაზე დაზუსტდა ღია ავტოსადგომების ფართობები. ხოლო, -2 და -1 სართულების გეგმებზე დაზუსტდა შიდა ავტოსადგომების ზომები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანებაში და:
1.1. აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“-ს საკუთრებაში არსებულ №01.19.36.014.671 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.“.
1.2. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 135.05 კვ.მ.
1.3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანებით შეთანხმებული -2, -1 და პირველი სართულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულების გეგმებით.
2. .ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 დეკემბრის 6816535 ბრძანებასთან ერთად.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge